

ქ. ხომევი ხომევი 131, რუსთაველი ქ. 15

№ 8

1 მარტი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡



ყოველ კვირეული საზოგადო. ეკონომ.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი გომთხე

1529

მისამართი: თბილის., Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

- ს ა რ ჩ ე ვ ი :
1. შეთაური. — ძესი.
 2. ომი და სკენი შოლოდინი. — ზიანისა.
 3. აჭარა და აჭარელები. ქართლელისა.
 4. სნეული. — ინ-ზანისა.
 5. ძიება. — (ლექსი) გრ. მეგრელი შეილისა.
 6. წუთი. — (ლექსი) ვ. გორკაძისა.
 7. დარდნელის საკითხი. — დიოგენისა.
 8. ომი და სკენი მატინე. — შამქორისა.
 9. ილია და აკაკი. — თ. ყორღანისა.
 10. სხვა და სხვა ამბები.
 11. აკაკის ნაგვესები. — შავთვალასი.
 12. ზრდინციის ცხოვრება.
 13. ღია ბარათი, ბ ნ რ. გაბაშვილს.



გერმანელები თეთრი დროშით სარგებლობენ და ნადგურებენ მტერს



ათი წლის ნამესტნიკობა ჩვენში

26 თებერვალს შესრულდა ათი წელიწადი, რაც აღდგენილ იქმნა ნამესტნიკობა კავკასიაში. ასეთი შეცვლა სხელმწიფო წესისა, როგორც გვახსოვს, გამოიწვია 1905 წ. მომხდარმა ამბებმა. მეტად საგრძნობელი გახდნენ, გამოაშკარადნენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ტკივილნი და მისწრაფებანი, ვადიშალა უვარგისობა და შეცდომანი მიღებული წესისა და ცხადი იყო, რომ ამ იარებს სახელმწიფოს არსებული მართვა გამგეობის წესით ვერ მოუვლიდნენ. ამიტომ საჭირო იყო განსაკუთრებით ორგანოს აღდგენა უფრო ფართო უფლებით. აგერ ათი წელიწადი გაიწურა და ამ ორგანოს მოქმედება მიმართულია იმ ხანაში წამოყენებულ საკითხთა და საჭიროებათა ლიკვიდაციის მიმართ. ფართო საზოგადოებრივი, საერო თუ საეკლესიო ხასიათის, მოღვაწეობა, რომელიც მცირე მნიშვნელობისა არ არის და კარგა ხანს დასტოვებს თავის კვალს, როგორც სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაში, ისე მათ დამოკიდებულობაში ურთ ერთ შორის და საერთოდ კავკასიის საქმეებში.

— ძე.

ომი და ჩვენი მოლოდინი

დღევანდელმა ომმა მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში არე-დარევა გამოიწვია. მგონი არ დარჩენილა არც ერთი დარგი ცხოვრებისა, რაზედაც კი ასეთი თუ ისეთი ზეგავლენა არ მოეხდინოს.

არა თუ მართლ საერთაშორისო ცხოვრებაში, კერძო პირთა ცხოვრებაშიაც კი არ დარჩენია დღევანდელს ომს ისეთი მიყრუებული ადგილი, რომ იქაც თავისი გავლენა არ ეგრძნობინოს. ამიტომ დღეს ყველანი, ვინც კი არ არის მოკლებული გონიერულ ცხოვრებას აუცილებლათ უნდა ჩაეკითხოს თავს: რა იქნება ან რა გავლენას იქონიებს საერთოდ კაცობრიობასა და მის ცხოვრებაზე დღევანდელი ქართველის შედეგები? რასაკვირველია, თურას მოელის ისა თუ ეს პიროვნება, თუ ერი, იმისდაგაერად ამოძრავებენ თავის ძალ-ღონეს და მიზნის მისაღწევად მოემზადება. ასეთს მოვლენას ვხედავთ მთელს ქვეყნიერობაზე. ევროპის ომმა ამერიკა და იაპონიაც კი აატოკა. რაღა ითქმის იმ პატრა სახელმწიფოებზე, რომელთაც ათასნაირი პერსპექტივები ესახებათ თვალწინ. იმ უზარმაზარ და აურაცხელ შესაძლებლობის კალიდესკოპში ნამდვილი თავისი ინტერესების გამოძებნა და შეუცდომლად მოქმედება შეადგენს ყველასათვის თავსატეხს ამოცანას.

მართლაც რომ ძნელია აღლოს ალება და ისეთი მოქმედება, რომ ბოლოს არ დასპირდეს კაცს თუ ერს „თითზე კბენანი“. ამიტომაც, რომ მთელი ბალკანეთის პატრა თუ დიდს ერებს და სახელმწიფოებს ციებ ცხელემა ემართებათ და არ იციან რა გზას დაადგენ და როგორ იმოქმედონ.

ვენისელოსსა ჰგონია, საბერძნეთის ომში ჩარე-

ვა ბედნიერებას მოუტანს საბერძნეთს. უმაღლეს მთავრობას კი საბედისწეროდ მიაჩნია ესეთი ნაბიჯი ღმ წინააღმდეგია. ამასვე ვხედავთ რუმინიაში, ბულგარეთში და სხვაგან.

არა ნაკლებ გულის კანკალით ადევნებენ თვალყურს საერთაშორისო ომს ის დამონებული ერები, რომლებიც სხვა და სხვა სახელმწიფოებში არიან მოქცეული.

ორივე მებრძოლი მხარე ამ ომს უწოდებს: „ეროვნებათა გამანათავისუფლებელს“ და ამით კიდევ უფრო დიდ იმედებს უღვიარებენ ასეთს ერებს. ზოგიერთმა ერმა ბაჯალლო ოქროთ აღიარეს ასეთი განცხადება, ისარგებლეს ამ განცხადებით და თავისი წმინდა ეროვნული საკითხების გადაწყვეტა შეუკავშირა ღმევეანდელს ომს.

მტნარი სიცრუე და პირმოთენობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენ არა გვაკლდება და დიდი ხნიდან არ გვქონდეს მოლოდინი ამ ნაკლულენებათა შესავსებლად...

მე არ ვამბობ იმ უფლებების ახდა-გაუქმებაზე, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს იყო დადებული, მე მაქვს მხედველობაში ის უუფლებობა, რომელსაც დღემდის განვიციდით რუსეთის ყოველ ქვეშევრდომთან შედარებით: ჩვენი ეკლესიის უქონლობა, ეროვნული სკოლის უქონლობა, სასამართლოსი, და სხვა დაწესებულებებისა. ჩვენთვის უცხოობაა, ენის შეზღუდვა, ერობათა და ნაფიც მსაჯულთა ინტერესების უქონლობა და სხვა.

გამოცხადდა თუ არა ომი, ჩვენი ერი, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა და რუსეთს მხარში ამოუდგა. ყველგან თუ წინ იდგენ. თორემ უკან არსად ყოფილან, გაჭირვებაში არსად უმუხთონიათ და უებღურებას უპირველესად თავზე იტყებდნენ. და ღმესაც ხომ ესე იქცევია!

უბრალო სამართლიანობა მოითხოვეს, რომ ისეთს ერს, რომელიც თავის სამოქალაქო მოვალეობათ სთვლის გაჭირვებაში მხარში უდგას ერთმორწმუნე ერს, და იმის ინტერესებს სწირავდეს თავს, ლხინშიც ისეთივე ადგილი დაეთმოს.

მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენთვის ამ მხრივ ბნელი სინათლით არ შეცვლილა, იგივე პოლიტიკა, იგივე აღმაცურად ყურება. დღეს მათე წელიწადია, რაც ჩვენში ერთგვარი, ჩვენთვის არა სასურველი პოლიტიკა სწარმოებს და ომის შემდეგაც თუ

უარესობას არა, უკეთესობას არას ვხედავთ და არც ახლო მომავალში სჩანს რამე საიმედო...

—ზიანი.

აჭარა და აჭარელები

საერთაშორისო ომმა საშინელი ზარალი მიაცენა მთელ ქვეყნიერებას, მაგრამ ის, რაც ჩვენი ქვეყნის პატარა კუთხეს აჭარას, ეწვია, ერთ გამოთქმელია. ვინც აკაკის დასაფლავებას დაესწრო ერენის მოედანზე და იქ ამართულ ტრიბუნაზე გადმომდგარ ჭალარა მაჰმადიან ქართველის სევდიან გამომეტყველებას შეავლო თვალი, ადვილად წარმოიდგენდა, თუ რომელ ქვეყნიდან იყო ეს მოსული სტუმარი მოძმე; ათრთოლებული ხმა თქვენ გიდგენდათ ოდესმე გააკებულ და ცეცხლში გამობრძმედილ ადამიანს. „აჭარა გაოხრებულია... აჭარა უყურადღებოდაა მიტოვებული... მოგვეშველეთ... ჩვენც თქვენი ძმები ვართ... მართალია, საუკუნეთა ქართველიმა ერთმანეთს დაგვაშორა, მართალია, რჯულით სხვა და სხვაობა ჩამოვარდა ჩვენს შორის, მაგრამ გულით ერთნი ვართ, ერთ-ერთისაგან განუყოფელი, როგორც მარცხენა და მარჯვენა ხელიო“ ყველა გულდათუთქული ისმენდა მოხუცის მხილებას. მხოლოდ წუთით! ჩვენ ხომ აღმოსავლეთის ხალხნი ვართ, რომელთაც მხოლოდ წუთი შეგვზარამს, წუთივე ცამდე აგვაფრენს, მაგრამ გაჭკრება ეს წუთი და ჩვენი უზრუნველობა და დაუდევრობა წამოწყოფს თავსა. ასე მოხდა ეხლაც. მაშინ დაკარგულ მოძმეს თანაგრძნობით მოვეპყარით, და ეს დიდი თანაგრძნობა ეურნალ-გაზეთებში გამოცხობილი ორიოდე მქლე წერილი იყო. სხვა ერი ასე როდი მოიქცეოდა. ავიღოთ თუნდა ჩვენი მეზობელი სომხობა. პრესას არ ვიტყვი, ნახეთ, როგორ ღმედა ღმ ბუკ ნალარასა სცემენ, გამოქცეულ სომხებს დავებმართო! ადგილობრივი კომიტეტები, აქ, ეჩმიაძინში, რუსეთში და... საღ არა გნებავთ! ბედშავ და უპატრონო აისორებსაც ჰყავთ თავიანთი გულშემატკივარნი, ქომავნი, მაგრამ ჩვენს თანამოძმე აჭარელებს კი არავინ.

რად დაისაჯა აჭარა? ამ კითხვას ახლო არ გავარკვევთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ მათ ღალატი დასწამეს. ღალატი იმ ერისა, რომელსაც პოლიტიკური მისია ვერ შეუგნია, ცოტა არ იყოს პირზე ღმძილს მოჭვრის ადამიანს. მაგრამ ბედის ირონია

იმაში უფრო გამოიხატება, რომ დღიდან მაჰმადიანობის გამოცხადებისა ეს უბედური მხარე წეწვავლევას სარბიელად გახდა, ვიდრე რუსეთს არ შემოუერთდებოდა. ამ დღიდან მთავრობის ორმაგი პოლიტიკა სულ იმის ცდაში იყო, რომ აქარელთა და მის ღვიძლ ძმა ქართველების შუა საზღვრად ხიდი ყოფილიყო ჩატეხილი. საკმარისია ავიღოთ ეთნოგრაფიული რუკა, რომ იქაც შევნიშნოთ: საქარ. ჩამოთლილი აქვს აჭარა. ავიღოთ ახლა პოლიტიკის მხრით. ქართველთ რამდენხან დასკირდათ ფრუშუბის დაღწევა, რომ დაერწმუნებინათ აქარლების ქართველობა. ,,თქვენ ქართველები ხართ, — ვეუბნებოდით აქარლებს, ხოლო ადმინისტრატორები წინააღმდეგში არწმუნებდნენ, არა, თქვენ ოსმალები ხართ! და განა გასაკვირველია, თუ ამ გვარ უნიათო პოლიტიკოსობის გამო აქარელის გათვითცნობიერება ისევ პრიმიტიულ მდგომარეობაში დარჩენილიყო? ბუნდოვანი შემეცნება თავის ვინაობისა, მოწყვეტა სამშობლო კერისა მასში აძლიერებდა რელიგიურს ფანატიზმს. ვიდრე საქმე არ შეეხებოდა რელიგიის საფრთხეს, აკი სტიქიურად აქარელები მხარს უჭერდნენ რუსეთს, და არა თუ უჭერდნენ, ავანგარდშიაც ექცეოდნენ, რომ თავიანთი ერთგულება დაემტკიცებინათ. რევოლიუციის ქარტეხილის დროს 1905 წ. აქარელები რაზმობლივ ილაშქრებდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ. მაგრამ აი, ახლა საკითხი შეიცვალა. ოსმალეთი იღუპება. მასხადამე მისი რელიგიაც მოისპობა. განა რა არის გასაკვირველი, თუ ოსმალთა აგიტატორები ააღვივებდნენ თუ სულ მთლად არა, ნაწილს მაინც ამ ნიადაგზე? რა მივეცით საბრალო კუთხეს, რომ ასე სასტიკად მოვიტხოვთ პასუხისმგებლობას? გაუნათლებელი, ჩამოშორებული ცხოვრების სინამდვილეს, პოლიტიკურად რუს პოლიტიკოსთა მიერ გზა აზნეულნი ადვილად დაიჯერებდნენ, რომ მათ მართლა განსაცდელი მოელოთ სარწმუნოების მხრივ. და აი, ისინიც ხმას იღებენ. მართლაც, ერთსულოვნად არა, მაგრამ ჩინიც. ეს არც ისე გასაკვირველი იყო. ნიადაგის მომზადებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, არ უნდა დავიფიქსოთ, რომ ოსმალთა ტალღამ მოასწრო ადრე გადმოხეთქნა და გაბატონებულყოფი ამ მხარეში. რა შეეძლო პატარა მხარეს? შეტბორდებოდა? მაგრამ ომის პირობებიდან ვიცი, რომ გაწვრთნილ ჯარს მხოლოდ ჯართან უნდა ჰქონდეს საქმე და არა მცხოვრებლებთან. აქარელებიც დაემორჩილნენ. ბუნებაც, კანონიც ამგვარს დამორჩილებას მოითხოვდა. მაგრამ ის, რაც კანონიერი არის ბუნებრივად, ის, რასაც მთელს საუკუნის განმავლობაში ჩავახოდი, რომ ისინი მაჰმადიანები იყვნენ და არ გვეძლეოდა უფლება ქართველებს შეგველო კარები და განათლების გზაზე დაგვეყენებინა, თურმე შეუწყნარებელი იყო ომის ღმერთისთვის და აჰა, ბრალი ჩვენი დანაშაულობისა მათ თავს მოვახვიეთ, „მოლაღატებად“ გამოვაცხადეთ და სასტიკად დავსაჯეთ კიდევ სტატისტიკური ცნობები „რუს. სლოვოში“ მოყვანილი ასე აგვიწერს ამ განადგურების სინამდვილეს:

ნიერი არის ბუნებრივად, ის, რასაც მთელს საუკუნის განმავლობაში ჩავახოდი, რომ ისინი მაჰმადიანები იყვნენ და არ გვეძლეოდა უფლება ქართველებს შეგველო კარები და განათლების გზაზე დაგვეყენებინა, თურმე შეუწყნარებელი იყო ომის ღმერთისთვის და აჰა, ბრალი ჩვენი დანაშაულობისა მათ თავს მოვახვიეთ, „მოლაღატებად“ გამოვაცხადეთ და სასტიკად დავსაჯეთ კიდევ სტატისტიკური ცნობები „რუს. სლოვოში“ მოყვანილი ასე აგვიწერს ამ განადგურების სინამდვილეს:

სოფ.	ა.	17	სახლიდან	გადამწვარია	15
„	ბ.	44	„	„	40
„	გ.	19	„	„	19
„	დ.	14	„	„	10
„	ე.	11	„	„	8
„	ვ.	40	„	„	20
„	ზ.	17	„	„	10
„	თ.	11	„	„	10
„	ი.	17	„	„	7
„	კ.	14	„	„	10
„	ლ.	14	„	„	11
„	მ.	18	„	„	8
„	ნ.	65	„	„	15
„	ო.	18	„	„	1
„	პ.	28	„	„	22

თქმა არ უნდა, ეს მხოლოდ უბრალო აღწერილობა იქმნება. სინამდვილის აჩრდილი, რაც ნახა ხსენებულ გაზეთის კორესპონდენტმა, რომელსაც ეს გაოხრებული პატარა კუთხე ჩვენი ქვეყნისა საკუთარ ფეხით მოუვლია.

ასეა თუ ისე, დღია განსაცდელი. ისტორიამ საუკუნეთა განმავლობაში ბევრი ვაება მიაყენა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ სჩანს, საკმარისი არ იყო საშინელ ქარტეხილთა ქროლვა. ახალი განცდა გვეწვია, ახალი გასაქირი. დღეს უფრო, ვიდრე სხვა როდისმე, გვმართებს სიფრთხილვე, დაკვირვება და მუშაობა, საქმე, საქმე და საქმე. აღფრთოვანებული სიტყვები, გმირთა ყვილი ბრძოლის ველზე და მამულის მუდმივი მხილება ჩვენდამი მხოლოდ ერთი რამ არის: ერთსულოვნობა, ერთსულოვნობა და, უწინარეს ყოვლისა, საქმე! დაე, ჩვენი ქვეყნის პატარა კუთხებზე ჩვენს გულში სამარადისოდ მოიპოვოს თბილი ადგილი და ყველას დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ, მიუხედავად რჯულის სხვა და სხვაობისა, მაინც ქართველები ვართ! ამიერიდან დაე, პოლიტიკოსთა მიერ ნუ დამახინჯდება ჩვენი რუკაც და საქარ-

თველო და აქარა ერთ ბაირალის ქვეშ დაგვაყენონ: წარსულში ამას თეორეტიულად ვამტკიცებდით, დღეს კი საქმით დავამტკიცოთ, საქმით, რომ ეს ერთობა დავამშვენოთ ამ საბრალო ქვეყნის მოწამეობრივი გვირგვინით

ქალღელა.

ს ნ ე უ ლ ი

ყაშთარი გავიდა.

გაზათხელის მხემ ოთახში შეიჭრიტა და მოწადინა სნეულს თვალი მოჰკვრა; შეეცადა, ოქროს ძნა და შალა და თავზე გადაეფინა, სნეულმა გიჟ-მაჯის სხივებს გულ-მკერდი გადაუხსინა და დიდ-ხისის სანატრელი, მატონტლებელი სითბო სიამოვნებით შეისუნთქა; სხე გაუბრწყინდა და ქვეყნის მნათობის მადლობის თვალთ დაუწყო ტქერა.

— ჩემია, ჩემია! — სთქვა სუსტის ხმით დავრდომილმა და ხელები წინ გაიწოდა: სხივების დაჭერას ღვაშაბდა.

მზის მოციქულნი თავის ეგებობდნენ, ღოუგებს უკონიდნენ, გულში ეხუტებოდნენ, მაგრამ ხელში კი არ უვარდებოდნენ.

ავადმოფის სხეზე სუბუქმა ბურუსმა გადაჰკრა.

მზე ნელ ნელა მიდიდა მალა და ოთახის სარკმელს სდილდებოდა.

ავადმოფმა ვეღარ მოითმინა და გარედ გამოხსნა ხალდა.

უკელა მზეს ელერსებოდა: მწვენი ბაღახი მარგალიტებს სთავაზობდა და მორცხვი ია სულხელებს უბუკდა. მზეც უკელას უცინოდა.

— არა, ჩემი ხარ, მზეო! შენს თავს ვერაფერს წაშართმევის! — წამოძახა სნეულმა.

მზე ჯერ ცის გუმბათის შუაგულს მიეკრა და მერ სამხრეთისაკენ გადახრა.

სნეული თვალს არ აშორებდა და ცხოველს სითბოს ხარბათ ეწაფებოდა.

მზე დასავლეთისაკენ მოქტა... სიგნოვლე მოაკლდა.

— მზეო, ნუ მწარაკ! — შესისხა შეძრწუნებულმა სნეულმა. — შემტკია! სულს მიხეთავდა და გულს მათოშაგდა ეინვა, სხამ შენ დაგინახავდი. შენმა სითბომ მიახლხე ჩემი გაყინული გული; სულს შვება მისცა.

ფესწრაფმა სიომ ველი გამოიბინა, მთლი აადელვა, იას თავი დაახრეგინა და სნეულს მოკტა.

— ნუ, სწუხარი! — წასწურწულა ვერში. — მტხრალია მზე. ის ძადა აღარა აქვს.

ავადმოფმა უკმუთვიდლოთ გაქჩია თავი სულელის სიოს სიტუვაზე და ისევე მზეს მიასერდა.

მზეს სხივები მოჰკლებოდა და მთას ევიარებოდა.

სნეული მუხლებზე დაეტა და მიმავალ მნათობს ხელები გაუწოდა.

— წამიეგჩე! — შეჰლადდა დონე-მანდილმა. — აქ ცივა! გული ისევე შეეინება, სული მკხუთება.

მზე ჩაესვენა.

— ვეღარ ვიცოცხლებ, მსუო! ამოდი! ვეღარ ვიცოცხლებ! — სთქვა სსწრავეთილოთ ავადმოფმა და აქეთიინდა. საცივუმ ძარღვ-ღბილში დაუარა და გააკახკალა.

— მაგას ნუ მისტირი! სხვა მზე ამოვა. — წასწურწულა ისევე ფესწრაფმა სიომ.

— გამეტა, მტინარავ! — უთხრა სნეულმა წეროშით სიოს.

მალა ცაზე მთვარე ამოსცურდა, გულგრილათ გადმოხვდა ხელგაწვდილ არსებას, შიმი-შიმიეთ გადმოიარა ცის კამარს და ისევე მიიშალა.

სხვა მზე ამოდას! — ჩასისხა სნეულს ვერში გახარებით ფესწრაფმა სიომ და აღმოსავლეთისაკენ გაქჩანა. ბაღახი გაადვიდა, ბუნქებს გადაურბინა, ხეებს გარს შემოეკლა, მდინარეს შეუბერა და ეკელას ამცნო სსწამოვნონო ამბავი.

აღმოსავლეთი ვარდისფრათ იღებებოდა.

ხელგაწვდილი სნეული კი ისევე დასავლეთისკენ იეურებოდა.

ინ-ბანი.

მ ი ე ბ ა

ძაძა ჩაეცვი, ძაძა, ბუნებას,
შეად შევმოსე მთანი, ტყე, ველი
და ჩემი ერის დაძაბუნებას
მწარედ დავსტირი ცრემლის მფრქვეველი.
სძინავს იმ ხალხსა, რომელმაც შოთას
მარად უკვდავი სული შთაჰბერა,
და უცხოს გული ვით აღუშფოთოს
როს ჩვენი სენი თვით ჩვენ არ გვჯერა?

ჰე დიოგენო, შენ ბრძენთა ბრძენო, სადა ხარ, გიწვდი მხურვალედ ხელსა!..
შთამომავლობით თითქოს ქართველნო, რისთვის ვერ ვხედავ თქვენში ქართველსა?..


სისხლით მოურწყავთ წანაპართ ველი,
მტკიცედ დაუცავთ თავისუფლება.
დღეს კი... დღეს რას ჰგავს ერი ქართველი?
მან თვით უარჰყო თავის უფლება.
უარჰყო თვითვე მშობლიური ცა,
მზე და ვარსკვლავი მოკაშკაშენი,
უარჰყო ენა მშობლიურიცა, —
ოჰ! ერო! მტანჯავს სიბრმავე შენი!

ჰე დიოგენო, შენ ბრძენთა ბრძენო, სადა ხარ გიწვდი მხურვალედ ხელსა!..
შთამომავლობით თითქოს ქართველნო, ნუ თუ ვერ ვპოვებ თქვენში ქართველსა?..

წინად სხვა ერთა ბედის მკედელი,
სხვისთვის მებრძოლი და მეომარი,
წინად სხვა ერთა ციხე კედელი,
დღეს მონები ვართ მხდალი, ლაჩარი.
მაგრამ ქართველნო აწ კმარა, კმარა
რაც სხვის უღელ ქვეშ ვხარეთ ჩვენ ქედი...
ან სულ დაჰზნელდეს ცისა კამარა,
ან მოვიპოვოთ ნანატრი ბედი...

ჰე დიოგენო, შენ ბრძენთა ბრძენო, როგორ მხურვალედ გიწვდი დღეს ხელსა:
შენ ელადამი ელინს ეძებდი, მე სამშობლოში ვეძებ ქართველსა.

გრ. მეგრელიშვილი.



ნ უ თ ი

ნელი შრიალით აქვითინდნენ ველზე ყვავილნი...
ნამი კრიალით დაეკიდა ნარგიზის ფურცელს... —
გაისმა ჰანგი... და ოცნება გაჰყვა მის ზვირთებს;
გაჰყვა ლურჯ სივრცეს და მოევლო ირგვლივ მთა და ველს...••

უხილავ ძალით შებორკილი, დატყვევებული
 ვუსმენ და ვუსმენ მზიბლავ ჰანგთა სხვა და სხვაობას...
 ცის სათნოებით, სიყვარულით ციმციმებს გული, —
 მშვენიერება ასხივოსნებს მოქანცულ გრძნობას!..
 ხშირად მსმენია ეს ჰანგები მარადისობის
 და ხშირად... ხშირად განმიცდია ცის სილამაზე...
 ხშირად მწყუროდა გავცოლოდი ოცნების ლალ ფრთებს,
 დროთ საზღვარს იქით, — ქერუბიმთა უმანკო ხმაზე!..

ვ. გორგაძე.




დ ა რ დ ა ნ ე ლ ი ს ს ა კ ი თ ს ი

ინგლის-საფრანგეთის ესკადრა სისტემატიურად შეუდგა დარდანელის გარღვევას, რომ სტამბოლში შეიჭრას და სულ ერთიანად შესცვალოს გერმანიის საომარი გეგმა. ამ ამბავმა მთელი ქვეყანა გააოცა, ბევრს სტრატეგს ეს უგუნურ სიმამაცის თავგამოდებად მიაჩნია. ზღაპრული სიმაგრე, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ვერავის შეუვიდა, ნუ თუ ეხლა იქნება განაცურებული? დიდი ქსერქსეს შემდგომ ბევრი ცდილან მის აღებას, მაგრამ ამაოდ. ვერ თუ 1807 წ. ინგლისის ადმირალმა დიუკორტმა მოახერხა სრული დაპყრობა, თუმცა იმ დროს პირობები უფრო ხელსაყრელი იყო ვიდრე დღეს, როდესაც ისედაც ბუნებრივ სიმაგრეს დაერთო თანამედროვე ტექნიკა და გერმანელთა გამოცდილი ხელო. დარდანელის აუღებლობა იწინასწარმეტყველადი დიდი მოლტკემ 1835 წ. მისი აზრით, დარ. რაც გინდა მოულოდნელად დაატყდნენ თავზე, რაკილა მის სიმაგრეებს მოაწესრიგებენ, ძნელად, რომ „ვინმე მტერი მიადგეს ესკადრით და სრუტეში შესვლა განიზრახოს“. მართალია, ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, შეიცვალა საომარ გეგმების იარაღი, მაგრამ ამასთანავე თავდაცვის ხერხიც გაუმჯობესდა. თუ რომ თანამედროვე ჯავშნიანი გემები და ისეთი ზედრედნოუტები, როგორც არის „კინგ ელისაბედი“, უზარმაზარ ზარბაზნებიდან უშენენ ზარბაზნებს ძველთაგან წარმოუდგენელ სიშორიდან, სმაგიეროდ საციხოვნო გეგმაც შეიცვალა და მისი არტილერიაც საუცხოვოდ გამოიქედა. ამას დაურთოთ ნაღმებით სარგებლობა და მაშინ უფრო ნათლად წარმოვიდგინათ, რომ ჯერ სრული დაღუპვის სიტუვა არა თქმულა და ვერც იტყვიან, გინდა დარდანელის სრუტის ნახევრამდინაც იყვნენ შეჭრილნი

„კინგ ელისაბედი“ დი მისი ამაღა ჯავშნოსანი დრედნოუტები. ამას ის გარემოებაც უფრო თამამად გვასკვნევენებს, რომ დღემდე გავლილი მანძილი უფრო გაშლილ ზღვის პირიდან მოხდა, სანაპირო ფორტები ადვილად იქნა დანგრეული თუ დაზიანებული, რადგანაც გემებს საშუალება ჰქონდათ სწრაფი მონევრებით აეცილებინათ სანაპირო ზარბაზნების ყუმბარა და, მეორეც, შორს დაეჭირათ გეზი. დღეს კი, როცა შესავალი „მოსწმინდეს“ და სრუტეში შესტურდნენ, გემების შორს მსროლელობის მნიშვნელობა ეკარგებათ და სრუტეც იმდენად ვიწროა, რომ საკმარისია მის ყელში ერთი ორი ან თავიანთ გეში ააფეთქონ ოსმალებმა, ან მტრს ჩაუძირონ, რომ შესავალი კარი დაიკეტოს. მართლაც, უკანასკნელ ამბებიდან, თუ კი არა ოფიციალურ წყაროებს რამე დაეჯერებათ. ჩვენ ვტყობულობთ, რომ ოსმალები მზად არიან არა თუ „ზარბაროსა“, „მეჯიდიე“, არამედ „გებენი“ და „ბრესლაუც“ გასწირონ, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვსო. და ეს გაწირვა იმას ნიშნავს, რომ დარდანელის ყელში ჩასძირვენ ამ გემებს. მაგრამ ეს მხოლოდ უკიდურესი საშუალებაა. ამ გემთა გაწირვას ვერ დავიჯერებთ, რადგან ოსმალებს ისედაც ბლომად აქვთ სატრანსპორტო გემები, რომელთა ჩაძირვა არც ისე დიდი დანაკლისი იქნება მათთვის და სრუტის ყელის დაკეტვას კი ადვილად შესძლებენ. ვთქვათ, მოკავშირეთა გეგმებმა მანდაც მოახერხონ თავიდან აიცილონ მოსრიალე ნაღმები და საციხოვნო ზარბაზნებიც ადრევე ჩააჩუმონ, საფიქრებელია მეორე მხარეც: ოსმალეთის ფლოტი ხომ გულ-ხელ დაკრებილი არ იქნება. რაც უნდა იყოს, გებენი პირველ ხარისხიანი ჯავშნოსანია, და მიუ-

ხედავად რუსული პრესის რწმუნებისა, მაინც ჩვენ არ ვიცი, რამდენად „მომეტრიეს“ კბილები, პოზიცია მისი კი ფრიად ხელსაყრელია, რომ მოკავშირეთა ჯავშნოსნებს გაუძნელოს და გაურთულოს ოპერაცია.

მაგრამ რა საჭიროა წინასწამეტყველება. რახანც მოკავშირეებს მიაქვთ იერიში, მაშასადამე, ყოველი ნაბიჯი უკვე გამოზომილი ექმნებათ. ყოველივე შემთხვევაში ინგლისი ადვილად არ გადასდგავს ფეხს, თუ კი არ იცის, რომ იქ გამარჯვების დროშას ააფრიალებს. ისიც ექვს გარეშეა, რომ მარტო ფლოტი ვერას გახდება, თუ დესანტი ვერ მოახერხებს. მაშ საჭმე ის იქმნება, თუ რაოდენად მოახერხებენ გალიპოლის ყურეზე დესანტის გადასხმას. ხოლო დესანტის გადასხმის საკითხი არა ნაკლებ საგულისხმიერაა, ვიდრე თვით დარდანელის ციხეთა დანგრევა. ჯერ ერთი, სადესანტოდ საჭიროა უკანასკნელი 600 ათასი კაცი, რაც ასე ადვილი არ არის ამჟამად ამოდენა ჯარის ერთბაში მოგროვება მოკავშირეთათვის. თუ არ დავივიწყებთ იმასაც, რომ, როგორც ინგლისური გაზედი: „Times“-ი ირწმუნება, ოსმალეთს კავკასიის ფრონტზე სავესებით არ გამოუზღვენიათ თავიანთ ჯარები, რომელთაც თვით გერმანელი აფატრები ხელმძღვანელობენ. მაშინ დავინახავთ, რომ მარმარილოს ნაპირები ადვილად ხელწამოსაკრავი როდი არის. მაგრამ ვთქვათ, ყოველივე შეუძლებლობა გადავლახეს, არა ნაკლებ სათავსამეტრევეო კითხვა იბადება: რამდენად დაეხმარებიან მოკავშირეებს ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები. დადგა ის მომენტი, როდესაც ყოველგვარ ყოყმანს ფარდა უნდა აეხადოს და ყველამ ახლავე თქვას, თუ ვინ ვისკენ არის. ისიც შესაძლებელია, რომ ახალმა კონფლიქტმა იჩინოს თავი თვით მოკავშირეთა შორის და ამმოკლებიან ში საუცხოვო კოალიცია სრულის კრახით გააუდეს. უწინარეს ყოვლისა აქ შეეჯახებიან რუსეთისა და ინგლისის ინტერესები. რუსეთის კოლონალური ტერიტორია უზღვაოდ იხრჩობა, არსაითა აქვს გასაქანი, რომ ვაჭრობა მრეწველობას გააშლევინოს ფრთა. ბალტიის ზღვით გერმანია არ უშვებს. თეთრი ზღვა ბუნებრივად დახშულია ყინულებით, ხოლო შავი ზღვით დაკეტილია დარდანელითა და ბოსფორით. თქმა არ უნდა, რა დიდ როლს ითამაშებს აქეთ გზის გახსნა რუსეთის განვითარებაში, მაგრამ გაძლიერება ერთისა როდი მოსწონს მეორეს. ინგლისი პირად ინტერესების დროს მოძმეს არ იცნობს. ყოველივე შემთხვევაში ლორდ გრევის



დასავლეთის სრუტი.

პასუხი ორპირადა სჭირს. ძნელად, რომ ზღვის სადღეოფლო გვირგვინს, რომელსაც ერთი იავუნდი აკლია,—და ეს იავუნდი კი დარდანელია,—ვისმეს

დაუთმოს საუკუნოდ. მაგრამ დიდ რუსეთსა და ძლიერ ინგლისის გარდა კბილებს აკარქუნებენ ბალკანეთის სახელმწიფონიკ. როგორ მაისის ნაწვიმარ დილაზე ლოკოკინებმა, ისე წამოპყვეს ყველამ თავი. ჯერ ოპერაციის ფრთა არ გაშლილა სავსებით, რომ საბერძნეთი სტამბოლის კანონიერ მემკვიდრედ აცხადებს თავს. ბულგარეთი კიდევ თავისკენ ეწევა. თქმა არ უნდა, არც ერთს და არც მეორეს არ გააძლიერებენ ბატონნი ამა ქვეყნისანი. ისიც შეიძლება სასტამბოლოდ ახალი კოალიცია გამოიჩინოს. იტალიაც დიდს მზადებაშია. ყოველგან ხმაურობა, ყოველგან მოძრაობა, კამათი, სამინისტროების შეცვლა გადაცვლა... ასე თუ ისე „კინგ ელისაბედის“ ყუმბარამ დარღვევის სრულტეში დასრულა დიდი ომის პირველი პერიოდი და მეორეს დასაწყისიც აღნიშნა: უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მეორე უფრო მკაცრი იქნება, მეტი გლეჯა-ფლეთა ვიდრე პირველში.

ლიოგენი.

ომი და ჩვენი მატანე

III

დღევანდელ უმაგალითო ომის დროს, როდესაც საზოგადოებას და პიროვნებას მოკრებილი აქვს მთელი თავისი ფიზიკური, გონებრივი და მორალური ძალა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პირობებს, რომელშიაც უნდება ამ ძალის შეღვევა, მისი მოხმარება, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რითი იქარვებს, ომით გამოწვეულს, მძიმე იარებს, რითი ფიქრობს ანაზღაურებას ასეთი ტანჯვისას, რას ხედავს გამხალისებელს, იმედის აღმძვრელს.

რუსეთის საზოგადოებამ უკვე დაუსახა ომს აზრი და დიდის ინტერესით ელის ამ აზრის განმტკიცებას, მის განხორციელებას ცხოვრების სხეულის შესხმას. თითქმის საერთოა ის იმედი და რწმენა, რომ ომი გაანთავისუფლებს რუსეთს არამც თუ გერმანიის გეგემონიისაგან, არამედ თვით რუსეთის შინაურ ცხოვრებას უმნიშვნელოდ არ დასტოვებს და გადაჭხრის მას უფრო მეტ სამართლიანობისაკენ, ფართო გზას მისცემს საზოგადოებრივ ინიციატივას, უფრო სამართლიანად გაანაწილებს პოლიტიკურ უფლებას რუსეთის სოციალურ და ეროვნულ შემადგენლობის შორის. საბუთს ასეთის იმედის უტყუარობისას ხედავენ სხვათა შორის იმ გავლენაში, რომელიც მოიპოვა სწორედ ამ საზოგადო ინი-

ციატივამ სრულიად რუსეთის საეროობო ქალაქთა კავშირების მოქმედების სახით. ასეთ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ნორმალურ პირობებში აყენებს და ამართლებს გაორკეცებული ძალის დახარჯვას, მძიმე მსხვერპლის შეწირვას, სულს ჰბერავს და აძლიერებს მას. ასეთ საზოგადოებრივ იმედების, ნორმალურ პირობების სრული უფლება გვაქვს ჩვენც, რადგან, როგორც წინა წერილებში ვცდილობდით გამოგვერკვია, ჩვენ ჩვენი ცხოვრების სოციალურ ეკონომიურ სახის გამო, შედარებით სხვა ერებთან, თუ არა მეტს, ნაკლებს პირადს და ქონებრივს სამსახურს არ ვეწვეით.

სამწუხაროდ ჩვენ მწარე ქეშმარიტებაში არავითარ ამის საბუთს არა ვხედავთ. პირიქით ჩვენ გარშემო შეიქმნა ისეთი პირობები, რომელსაც ენერჯის განმტკიცება კი არა, მხოლოდ მისი დაუძღურება შეუძლიანთ.

საკარისია გავისენოთ რამდენიმე ფაქტი—რომ ამ მოსაზრების ქეშმარიტებაში დაერწმუნდეთ. ყველას ახსოვს, თუ რა სამართლიანი საყვედური გამოიწვია ქართველთა შორის ერთნაირმა უნდობლობამ საეროობა დახმარების მოწყობის დროს აქ, საქართველოში.

წვრილმან და მცირე მნიშვნელოვან საქმეზე, ალავერდის კათედრის აღდგენაზედ უარი გვტკიცეს—ეს იმ დროს, როცა სხვებს ეროვნულ პოლიტიკური აღორძინების იმედები ეძლევათ და როცა საქართველოს საეგზარხატოს თავში სდგა კაცი დიდის პირადის სიმპატიით ჩვენამდი, ისეთის სიმპატიის, რომ ბევრ ჩვენგანს ოცნების მორევშიაც ათრობს ეს სიმპატია!

ჯერაც ვერ დავმშვიდებულვართ, ვერ შევრიგებვართ და ვერც შევეურიგდებით იმ მოვლენას, რომ ჩვენი საეკლესიო მუზეუმი, ის რაზედაც ერს დაუყრია თავისი ისტორიული ჯიგარი და სიყვარული, ის რაც შეადგენდა ნუგეშს და რაც შეიძლება განკიცხვის დღეს სიმბოლოდ უკვდავებისა მოგვევლინოს, გავმხნევედეთ მით, სასოწარკვეთილებიდან ვიხსნათ თავი—დღეს სხვაგან მიაქვთ. ვერ წარმოგვიდგენია, რა უნდა იყოს ერი ძვირფას საყუდარს მოშორებული, ისტორიულ სიმბოლოს მოკლებული, რჯულით განმტკიცებულ ძვირფას საუნჯეთა და დროშათა დამკარგველი!

აბუჩათ აცდების საქმე იქამდის მივიდა—რომ მეორე რაიონის, სახალხო სკოლების ინსპექტორი წინადადებას აძლევს ჩვენ სასოფლო სამმართველოთ, შეპკრიფონ ცნობები ობოლთა შესახებ, გაივარაუ-

დონ საჭირო ხარჯი, რათა მათ (ინსპექციას) საშუალება მიეცეს კეთილი აზრი განახორციელოს—ომში დახოცილთა ობოლნი მათ მიერ დაარსებულ თავშესაფარებში აღზარდონ! ანუ სინამდვილის და გასაგებ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ ჩვენი ფულით ჩვენი ბავშვები იანიჩარებათ უნდა აღზარდონ! ასე ესმით ჩვენი სულის კვეთება. ასეთ პასუხს იძლევიან იმ კვენსაზედ, რომელიც გაისმის ბრძოლის ველზე ქართველ მომაკვდავთა შორის!

არც სხვა მხრივ არის მოწმენდილი ჩვენი სამშობლოცა. მე მოგახსენებთ იმ ერთგვარ „საერთაშორისო პოლიტიკის“ შესახებ, რომელიც, განხორციელებას აქ, ჩვენ მიწა-წყალზე, ლამობს. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ დიდი ყურადღების ღირსად მიგვაჩნდეს სომეხ ქართველთა საკითხი იმ ფარგლით, რომელშიაც იგი ომის დაწყების წინადასწარმოებდა. უთანხმოება და ბრძოლა სწარმოებდა ეკონომიურ ნიადაგზე და არაფართარი ექვი არ არის იმაში, რომ გამარჯვება დარჩება იმას, ვის ხელშიაც ბუნებრივი სიმდიდრე—მიწა და მადნეულობაა საქართველოში. თუ გაამწვავა ჩვენ შორის დამოკიდებულება—ეს დღევანდელ ცხოვრების მსვლელობაა, რომელიც ალბ-მიცემობის და მრეწველობის საქმეში სახელმწიფო და საზოგადო სესხს და მწარმოებელთა ამხანაგობათ—უმზადებს სარბიელს. თვითონ ცხოვრებამ დაუწყო დევნა მათ ვინც იყვნენ ჩვენში მოვასშენი და შუამავალნი, ჩვენის ნაწარმოების სხვის ხელში გადამტანნი და სამაგიეროდ სხვისაგან ჩვენთვის საჭირო ნივთების მომწოდებელნი.

დაუმატეთ ამას ისიც, რომ თვითონ ქართველობამაც საპატეო მიზეზთა გამო შესამჩნევი ინციდენტევა გამოიჩინა ალბ-მიცემობის საქმეში ამ ბოლო დროს და ადვილი გასაგებია—თუ რად გამწვავდა ურთიერთობა,

ვიმეორებთ, ჩვენ ამას დიდ ყურადღების ღირსად არ ვთვლით და არც სალაპარაკო საგნათ გავხდით, რომ უთანხმოების ჩვეულებრივ მსვლელობას სხვა რამე არ დართოდა და ისედაც შეხუთული და გულის დამწყვეტი ატმოსფერა უფრო არ შეეხუთა და შეექმნა ერთგვარი პირობანი, რომელნიც შესაძლებელია ქართველი ერის მიერ სამშობლო დაცვისათვის მიმართულ ენერჯიას სავსებით გაშლის ნებას არ აძლევენ. მკითხველმა უკვე უწყის თუ რა ხიფათს უმზადებს ისედაც შეჭრელებულს ჩვენ ტერიტორიას „გამოქცეულთა პოლიტიკა“. ჩვენ საკმაოდ გამოორკვეული გვქონდა თუ რა სახი-

ფათო შედეგები

დღევანდელი სამაგალითო სამსახური და თავგანწირვა ქართველი ერისა სახელმწიფოს ხიფათის წინაშე სრული თავდებია იმისა, რადგან არავისათვის ამოცანა არ უნდა იყოს, რომ თუ ვიბრძვით რუსეთის ბედნიერებისათვის, ვიბრძვით ჩვენი საკუთარი ბედნიერებისათვისაც, თუ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიცავთ საერთო სამშობლოს, ვიცავთ და დავიცავთ პატარა საქართველოსაც.

სოცლის დაცვა ოჯახის დაცვა არის და ვერაფრად გამოადგება სოფელს კაცი, რომელიც საკუთარი ოჯახის დაცვას ვერ მოახერხებს. ქართველი, რომელიც არ დასდებს თავს საქართველოსათვის—დიდ რუსეთსაც ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევს. და დღევანდელი თავგანწირული ბრძოლა ქართველისა, პრუსიის ან ოსმალეთის საზღვრებზე უტყუარი მოწამეა იმისა, რომ კიდევ შეგვძლება თვამოდება ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩვენ გვესმის მთელი ის მოვალეობა და სიმძიმე. რომელსაც ვკისრულობთ, როდესაც შემდგომს თქმა გვინდა, არავისთვის ფარული არ არის, რომ ომის დაწყებიდანვე სომხურ პრესის ერთ ნაწილში, დაიბეჭდა ცნობა, რომელსაც ყოვე-

ლივე სალი გონება მხოლოდ ერთ აზრს მისცემდა — შეელახათ და ეკვიც შეეტანინებინათ ქართველების ერთგულებაში.

ყველას გვახსოვს ცნობა კონსტანტინოპოლში „ხანჯლიან და ჩოხიან“ ქართველების შესახებ. მტრის შემოსევას მოჰყვა გულის ჩამკლავი ქართველთათვის ცნობა აქარელების ლალატის შესახებ. ცნობა, როგორც ამბობდნენ, მოიტანეს ართვინიდან გამოქცეულებმა და როცა მოედო ქვეყანას, ყველას ახსოვს თუ რა დასტური დასცეს მას ზოგიერთმა სომხურმა გაზეთებმა გინდ „Кавказское слово“-ს სახით.

დღეს, როდესაც ქართველობამ ხაკუთარის სისხლით დაავიკრგინა ასი წლის კეთილშობილური სამსახური რუსეთის წინაშე აღფრთოვანების და პატივისცემის გამოძწევვ ვაჟაკობით და როდესაც აქარელების საქციელის შესახებ ისეთი მოწმობა გვაქვს, როგორც მოწმობა ყოვლად უსამღველოების ეგზარხისა და სხვა მრავალ ოფიციალურ პირებისა — ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიცითხოთ — როდის მოედება ყველაფერ ამას ბოლო და მოგვეცემა საშუალება მთელი ჩვენი ძალით და ენერგიით თავისუფლად ერთ საქმეს, შემოქრილ მტრის განდევნას ვემსახუროთ.

ან არა და რა გარანტიაა, რომ იმ შემთხვევაში ღმერთმა კი ნუ ქნას, თუ მტერი შემოესია ჩვენს ქვეყანას — გახიზნული სომხობა იმავე ამბავს არ გაიტანს, რა ამბავიც შემოიტანა ართვინიდან და ისეთ ყოფაში არ ჩაადებს საქართველოს, რა ყოფაშიც დღეს ქვემო აქარაა! ეს ხომ აშკარაა, რომ სამშობლოს ვერ დავცლით, კერას ვერ გავცივებთ და გულდაწაბად წამოკიდებული სხვას, შეიძლება ჩვენზე გაჭირვებულს მათხოვრად კარზე ვერ მივადგებით; ამისთვის ჩვენ არც საშუალება, არც არავითარი საშუალება არა გვაქვს და რა გინდ ცეცხლი აგვინთონ კარზე ჩვენი ისტორიის ხასიათის გამო ამას ვერ ჩავიდნთ და ნუ თუ მაშინაც ყველა სულს უფლება ექმნება ილაპარაკოს ჩვენს მოღალატობაზე?

აი საკითხი, რომელიც ისედაც შემზუთველ პირობებს მეტად მწვავე ხასიათს აძლევს.

თუ რუსეთში ისეთი იმედის მომცემი და იარის გამაქარვებელი არიან საზოგადო პირობანი მოქმედებისა, ჩვენში სამაგიეროდ მძიმე და აუტანელი ხდებიან, მეტად ამძიმებენ ჩვენს ცხოვრებას ისე-

დაც დამძიმებულს სხვა დანაკლისითაც, რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

შამქორი.

ილია და აკაკი

„ერთ ზედ ქვეშა ვართ ლაბავ მე დი შენი“.

ილიას დამარხვის დღეს, როდესაც ზღვა ხალხმა ილიას წმიდა გავში გამოატარა, იმ სხელთან, სადაც მან შინ ავთმყოფი აკაკი იწვა, გუდადითუქელი აკაკი დოგინიდან წამოიწია; ცხედარი დამანახეთ. ორმა მხლებლებმა ხელი მოსჭიდეს ავთმყოფს და ბაღკონზე გაიყვანეს თავშიძველი, თმა-გაწველი აკაკი. ეს ზღვა ხალხი შედგა, სმუნდა იქცა. აკაკიმ თავზე ხელები შემოიფრა და შესწივლა ცხედარს: ეს რას ვხედავ? რათ მიდაღატე ძმაო: ერთ უღელში ვებით, ჭანხის ერთად ვეწოდით, ახლა უღელიდან თავი გამოვიშვია, მარტო დაგივდივარ — გრცხვენდეს! ახლა ცალი-და რის მატნისი ვარ; რატო თან არ წამიიყვანე? რად გამეყარეთ?

აკი დღეს ისევ შეურიღან ეს ორი უკვდავი გმირი უკვდავ ქვეყანაში, გაბრწყინებულნი, გამარჯვებულნი, დაგვირგვინებულნი ერის საუკუნო სწავნიათ.

აკაკიმ მართალი სიტყვა: ეს ჩვენი სიამაჟე, „ქართველებს ბუშკინი“, მუდამ ერთ უღელში ება „დიდი ილიასთან“, ორივემ ერთ ჭანხის წვეშა დადიეს თავისი გრძელი ჭირის ცხოვრება და წმიდა სული.

რომ ამ მწერლების ბუმბურაზობას ძალუმად ვიტანდით, უნდა თვალი გადავავლოთ იმას, თუ რა გარემოებაში მოუხდათ მათ საქვეყნო-სამოღვაწოდ გამოსვლა.

მეცხრამეტე საუკუნის კარზე მოიშალა ჩვენი ძველებური წესწობილება.

გადასხლასტიკა ქართული სემინარიები და სხვა სასწავლებლები, გაჭქარ ძველებური მადლიანის მღვდლები, გამარჯვდა ანათორიანი ჩინოვნიკობა, დაკინდა რჯული, დადუმდა განთქმული ძველებური გაღობა ტანკეში, ნელ-ნელა დაიწვეკას მიეტა კულტურული ჩვენი ზნე-ჩვეულებანი, რომელნიც ამშვენებდნენ ჩვენს შინაურს რაინდულს ცხოვრებას, აცხოველებდნენ და აპოეტურებდნენ ჩვენს ეთიკულ დღეურს შრომა-ვარამისა ჭირისა და ღზინის დროს; დასუსტდა ჩვენი განთქმული ზრდილობაც, თავაზიანობა, — ერთის სიტყვით ჩვენი ეროვნება გადაკვარების გზას დაადგა, გაუქანა, მადლი წოდება ეროვნების სულიერის სიკვდილისკენ, არარაობისაკენ მიისწრაფებოდა, თავი მიეტა სორციელის

ცხოვრების დღეებისთვის და ძალით დამთავრადი უზარბა-
შოდ დატოვებულა სიამოვნების ზღვის ტალღებზე
უაფრო-საჭეოდ, უზარბა, როგორც ეს საუცხოოდ გა-
მოსატა ილიამ ნაღვლით სავსე ლექსში: „რა ვაკეთე
რას ვშვრებოდით?“

რას ჭიჭირობდა ამ დროს გლეხობა, ხალხი? გლე-
ხობას მტკნარმეტე საუკუნის კარზედვე მძიმე უღელი
დადგეს მინობისა წინანდელი თავისუფალი გლეხობა იმ
თავითვე ახალმა წიგნობლებამ „გაგურეპოსტია“ ე. ი.
იმვე მინობის ბორკილებით შებოჭა, რომელიც გლეხ-
კაცობა ზეტრე დიდის დროიდან იყო შეკრული. მართა-
ლია, ჩვენმა გლეხობამ ეს ბორკილები ძლიერ იუცხობა
და ადგილ ადგილ სხვა და სხვა დროს „იბერტა“ (ვერ
ქიხიში, შერე კახეთში, შემდეგ იმერეთ გურია.ს.მეტრე-
ლიძის), მაგრამ მთავრობის ვერ გააგებინა თავისი სი-
მართლე თავისი უფრობით და რაკი შელავით ვერა გა-
აწყო რა მთავრობის ძალასთან, დამორჩილდა და მინო-
ბის უღელს ქედი გაუყო, ველურ ჭაზის მითმებით ეზი-
დებოდა. კრეპოსტნიკობამ წაართვა ერს სოციალური,
ადამიანური უფლებანი, საკუთრება, თავისუფლება; გა-
ზიარებულა იგი, გადატარა, მაგრამ მითმების მტრის სხვა
გზა არ იყო... ილიას საუცხოოდ აქვს გამოხატული
გლეხის გულის ნაღველი ლექსში: „გადი გამოდი გუთა-
ნო“. სადაც მიწის მხენული ამხენებს დადღაღ დაქან-
ცულ ხარებს და ეტყვის: „შენი უღელი ჩემს უღელსე-
და არ არის ძიქლი“ და სხვა.

მართლაც „კრეპოსტნიკობამ“ ზარეკეკულ მდგომარე-
ობაში და ჩამოიყვანა გლეხობა. მაგრამ ვის შექძლო
კრეპოსტნიკობის სამარცხვინო უღლის გადატება მშინ,
როდესაც ამ უღელს „დაინტერესებულად“ იცაღენ მ-
დალი წოდება და „ზოლიტვანური“ ჩინოკიკობა?

ასეთს ეროვნების ზრევის დროს ზრესაც ხმას არ
იღებდა. ან სად იყო მშინ ზრესა? ნახევარი სუკურ, სეკ
გავიდა, რომ უკთა-და გაზეთი („თს უწიკანი“) გამო-
ვიდა სულ ცოტა ხნობით და ერთი ვერხალი იმავე სა-
ხელით, მაგრამ საერთო კათხებზე აქ ვერას იზოვით:
ამაზე სრული სიხუმეა. კრიტიც არ დამრუდა: „არ სი-
დან ხმა, არსით ძხალი“!.. „სულ ძალი, ძალი“—ასე
ახსიათებს ილია იმ შავ დროს ეროვნულის ჩვენის სიკ-
ვდილისას.

სამაგეროდ ვარანცოვის ფულებით რომ თეატრი
დაარსდა, ფენი მთადგა ეროვნების მიმძინებელმა ქარ-
თულმა მწერლობამ. იმ დროს დაწერილს კომედიებში და
ლექსებში დაცინულია ჩვენი ეროვნული გრძობები, ზნე-
ჩვეულებანი, დაცინულია ქართველი ნაშუ-
სიანი მორცხვი მანდილოსნობა, მორიდებული ქრევა, თავ-
დაცულობა, თავდაჭერილობა.

ასე დრმად იყო მიძინებული ჩვენი ეროვნება, ჩვე-
ნი სულიერი არსებობა, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზ-
ზე ერთ უღელად გამობრწყინდნენ ილია და აკაკი. მათ
ზირველებმა ჩამორეკეს ეროვნული ზარი და ქართველო-
ბას ზირველად მოგვესმა ზენიური ხმა სულიერად ადმა
დგინებელი. გამომაფხიზლებელი, ეროვნულის სულის
ჩამდგმელი, გულ-გონების გამცოცხლებელი. მართალია
ნ. ბარათაშვილის და გრ. არბელაიანის უკბრო ლექსებ-
შიც გამოსჭვარვალუმს ეს ეროვნული ხმა, მაგრამ სუს-
ტად, როგორც სამშობლოზე გლოვა და არა როგორც
ძალეში მოწოდება ერისა. რაც ამ ეროვნულ სარბიელზე
გამოვიდნენ ეს ორივე გმირი განუწვევტლად და დაუბე-
ბით ჩაგვეძხინდნენ: „აღსდგეთ, ნუ გძინავთ!“ ოღონდ
ილია ჭკუა გონებით სავსე რესთაველები ივსის ლექსებით
გვიმტკიცებდა, გვაჭერებდა, ხოლო აკაკი—გრძობით
სავსე გულით იმ-სვე გვიქადაგებდა, გვიტაცებდა. შეუ-
ერთდა ბუმბერაზი გონება ილიასი ცრეხლებერ დამწველ
აკაკის გულს და ამ ორმა შეერთებულმა ძალამ სსწაული
მოახდინა: ქართულმა ეროვნებამ, ეველას რომ მეგლარი
ეგონა, სიცოცხლის ნიშან-წეალი გამოიხინა. ეველასზე
უწინ ეს გვახარა აკაკიმ: „არ მომეგლარა—მხოლოდ
სძინავს!“ ახლა ძილიანკან გამოდვიძებს მთანდომეს ამ
გონების და გულის დეკებმა, — ილიამ და აკაკიმ, — მთელი ძა-
ლა მთის ზოტეკრ და ზუბლიცისტურ ნაწარმებისას, სხამ
მათ გარეშე არ შეიკობა სკამო რიცხვი უვეე გამოდ-
ვიძებულ სსოგადოებისას: დაარსდა 'ტაშა, გამოვიდა
ზირველი გაზეთი. გამობრწყინდნენ ახალი მწერლები, მხ-
არი მისცეს ილია-აკაკის, გაისმა რაფაელის ანტელოგებ-
რევი ქნარი, გახდადა ეროვნული მუშაობა, ილია-აკაკის
ზირვანდელი ნაშერწყალი ახლა ცრეხლის ზღვად იქცა,
რომელმაც გზა გაუნათა ახალ მუშაკებს და მთელ ქართ-
ველობას შეატებინა, რომ არ მოვევება ჩვენი რანდი
ერი, არ გაითქვლითება იგი ძალად კარშემორტემულ
მწვირეში.

ორიოდე წლის წინ, რაჭაში მოგზაურობის დროს,
აკაკიმ იმდენი ნიშნები ნახა ქართველთა ეროვნების გა-
მოფხიზლებიას, რომ გადარეულის სიხარულით გამოგ-
ვიცხადა: „წ განმიტვეთ“, აქამდე იმას გახარებდითო,
რომ ქართველობა არ მომეგლარა, მხოლოდ ძინავს; ახ-
ლა კი შემიძლიან გახაროთ—ქართველობა კიდევ აღს-
და!

დახვალ მართალი გვახარა აკაკიმ: აღსდგა ჩვენი
ეროვნება! ამას ამოწმებს ის გასაოცარი ერთსულობა,
რომელმაც საქართველოს ეოველ კუთხიდან მოუწვევლად
და უზრმაზკანდოთ შექპარა ეროვნულად გამოფხიზლებუ-
ლი ქართველობა წამებულის დიმიტრი ფიფიანის კუბოს-
თან, შემდეგ მერე წამებულის ილიას ცხედართან და

ახლა ხომ მოელი ქართველი ჩათვსობა კარმეფერიდაა აკაკის ახლ კათხრილ სამარესთან და მწარე ცრემლებს აურის მის დიდა ხნის მოღვაწეობით დატვირთულს წმანდას სხეულს, დემოტოებს და ასაუკუნებებს მის სხეულს.

ქეშმარიტად დეთისმშობელმა დროზე მოფუდის მის წილეოფილ საქართველოს იღაა და აკაკი

ორმოცდა ათ წელიწადზე მეტი მას შემდეგ, როდესაც ოქტომბრის სოფლის სკოლაში ვსწავლავდი, სამურსაქანსა, ერთ დღეს მასწავლებელმა გავით „დროებაში“ კლასში ამოგვიკითხა აკაკის ლექსები. ამდენს თითქმის გადავარბული შევირდობს სმუნდა გადაიქცა. იქ დიდან მასწავლებელს მოსკენებს არ ვაძლევდით, გავითს ვაზი-დვინებდით კლასში. აკაკის ლექსებს ცალკე რეკლემმა ვიწერდით და გაკვეთილებს გაკეუ გავიხეზინებდით სოფელს. ასე შეგვყავარს აკაკიმ ქართული ენა! ასე გავი-ტარა „მატარა კაცუნება“ მის ლექსებში გატარებულმა საერო აზრმა—იღვამ, რომელსაც ჩვენ მამის მხლად ვგრძნობდით, მაგრამ მაინც გულს გვიხატებდა, ცხოვრუ-ბას გვიჩინებდა, ესერგავს გვიდიდებდა სწავლისადა, სულიერად გვზრდიდა და გვხარებდა. („ახ. ახ.“)

თ უორდანა.

სხვა და სხვა ამბები

★ ვარლ. ლევ. გლეგვანი, მეოთხე სათათბი-როს დეპუტატი ვარდაიკვალა ამ თვის 22-ში გან-სენებელი ვარლამ ლევანის ძე დაიბადა სოფ. სპა-თაგორში, (ლენხუმის მაზრა) 1878 წ. უმაღლესი სწავლა განათლება მიიღო პეტროგრადის უნივერ-სიტეტში იურიდიული ფაკულტეტზე... აქ ყოფნის დროს იგი ითვლებოდა არა რუსთა საზოგადოების წარმომადგენელად. მდინად აირჩიეს „ავტონომის-ტთა“ კავშირში. სამშობლოში დაბრუნდა 1911 წ. ხოლო 1912 წელში ქუთაისის გუბერნიიდან აირ-ჩიეს სახ. სათ. წევრად უდიდესი მისი ღვაწლი ის იყო, რომ სათათბიროში მორიგ საკითხად წამოაყე-ნა საქართველოს ავტონომია. საერთაშორისო ომის გამოცხადებისთანავე გლეგვანი სანიტარულ რაზმში ჩაეწერა დასავლეთ ასპარ ზზე, სადაც გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს, მაგრამ რა წამს ოსმალეთმა ხმა ამოიღო და ჩვენს საზღვრებზეც გაჩაღდა ომი, გლეგვანი ახლა აქეთ გამოეშურა დაულალავმა და თავკანში რულა მოურიდებლობამ იგი გაჰხადა სოვალეობის მსხვერპლად. 7 თვეურვად სარაყამიშ-თან სხადით გახდა ავით, რამაც საუკუნოდ გამო-

ასალოა წუთი სოფელს. ვ. გლეგვანი საგვარეულო აკლდამაში დასაქრძალავად წაასვენეს დ. ლენხუმში 24 თებერვალს.

★ ხალი წიგნები. რედაქციამ მიიღო „სა-ქართველოს ისტორია“ შედგენილი ბ-ნ ს. რ. გორ-გაძის მიერ. წიგნი მოზრდილთათვის არის დაწერი-ლი. მის ავ კარგიანობას შევეხებით შემდეგ ნომერ-ში.

★ სინათლე რუსულ ენაზე, ლექსად თარგმა-ნი ნ. რეულოს მიერ. თარგმანი, მიუხედავად თვი-თონ ავტორის ბ-ნი ედევანიშვილის ქათანაურისა, ვერ ახდენს იმ შთაბეჭდილებას, როგორსაც იძლე-ვა ორიგინალი. ვფიქრობთ, პროზით უმჯობესი იქ-ნებოდა საზოგადოდ და კერძოდ სცენაზე დასად-გმელად.

★ ახალი რომანი ბ-ნ გრ. რობაქიძეს დაუ-წერია ფრიად ორიგინალური რომანი „მაკდური მარმარილო“. თხზულების მეხუთედი ნაწილი უკვე წაკითხულია ლიტერატორთა პატარა წრეში და კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. რედაქცია ეც-დება ახლო მომავალში მკითხველთ გააცნოს შინა-არსი ამ რომანისა.

★ ჩუძი მუშაკი, ი. კერესელიძე განაგრძობს ჩომსა და ფრიად მუყაით სასარგებლო შრომას: ამ ჟამად კიდევ გამოუცია პატარ პატარა წიგნაკები, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გასაფრცელებ-ლად ვუჭურვით წარმატება და მეტი მხნეობა.

(ჟურნ ლ გაზეთებიდან)

★ ლონდონის სოციალისტური კონფერენცია. აშს წინად ლონდონში გაიმართა ინგლისის, საფ-რანგეთის და ბელგიის სოციალისტების კონფერენ-ცია რა მოხდა იქ, დაწვრილებით არ ვიცით.

ფრანგული გაზეთი „მატენ“ ი რამოდენიმე თარ-ის ხდის ამ კონფერენციის საქმიანობას.

კონფერენციის მოწვევს იღვა ინგლისის სო-ციალისტებს ეკუთვნის, რომელთა ნაწილი ომის წინააღმდეგი იყო საფრანგეთის დელეგაციაში შე-დიოდნენ: მინისტრი სამაზა (გედი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო), დეპუტატები ვალიანი, ბრა-კე, კომპერ მორელი, რენოდელი კაშენი და ლან-გე, კოპერატორი ჰუასონი და შრომის კონფედე-რაციის სამი დელეგატი. ბელგიის დელეგაცია რვა პირისაგან შესდგებოდა ვანდერველდეს მეთაურო-ბ-თ. ინგლისის სოციალისტებისაგან დაესწრენ: კე-ირპარდი, მაკლონალდი, ანდენსერი და სხვ. რუსე-

Handwritten notes in the right margin, including the name "სიონი" and other illegible scribbles.

Handwritten notes at the bottom right, including the date "1922".

ბის მხრით გამოცხადდნენ რუბანოვიჩი და მაქსიმოვიჩი.

თავმჯდომარეობდა კვირპარდი.

პირველი სიტყვა სამბამ წარმოსთქვა და ფრანგ-ბელგიელთა რეზოლიუცია წაიკითხა. ამან ინგლისელთა პროტესტი გამოიწვია. ისინი ამტკიცებდნენ: ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, აქ ბევრი რამ გარკვევას მოითხოვს და ამიტომ ამაზე ამჟამად კამათი არ შეიძლება.

ვალთანმა აკანკალებული ხმით შეჰნიშნა: „ის უბედურება, რომელიც ევროპას თავს დაატყდა, ორ პაწია ერზე თავდასხმამ გამოიწვია: სერბიაზე ავსტრიის მხრივ და ბელგიაზე გერმანიის მხრივ. ეს ეს ისტორიული ფაქტია. ნუ თუ თქვენ ამას უარყოფთ?

— არა არ უარყოფთ—უპასუხეს ინგლისელმა სოციალისტებმა, მაგრამ სანამ შეგვიძლიან ამაზე თავისი აზრის გამოთქმა, ყველაფერი უნდა გავიცოთ.

— ნუ თუ აქვენ უარყოფთ,—შესძახა ვანდერველდემ,—რომ ბელგიამ დიდი ტანჯვა-წამება გადაიტანა?

— ამ საკითხში ძლიერ გადააქარბეს,—ფლეგმატიურათ განაცხადა ერთმა ინგლისელმა.

ინგლისელები თავიანთ აზრზე იდგნენ და ამიტომ რეზოლიუციას არ მიიღებდნენ, ვინაიდან აქ ავსტრიისა და გერმანიის წინააღმდეგ მრავალი მკაცრი ადგილი იყო, საფრანგეთისა და ბელგიის სოციალისტები დათანხმდნენ რეზოლიუციის შესწორებას და რამოდენიმე ფრაზის ამოშლას სერბიასა და ბელგიაზე.

★ **შიმშილი გერმანიაში.** ყველას აინტერესებდა ის ამბავი, რომ გერმანია ვერ შესძლებს ომის გაგრძელებას—რადგან ადრე დაუდებმა შიმშილობა და იძულებული გახდება—იარაღი დაჰყაროსო. ამის გამო აი რა ცნობას გვაძლევენ ბერლინიდან: „ორი მარტიდან ყოველდღიური ხვედრი ფქვილის თითო კაცზე შეამკირეს გერმანიაში 200 მისხლამდი (2 გირვანქამდე) ეს შემკირე ხვედრისა (პორციისა) უკვე მეორე ხელია—მას შემდეგ, რაც გერმანიაში გამოიანგარიშეს რაოდენობა ყველა დაზოგილი ფქვილისა და ხორბლისა, ეს მოხდა 13 იანვარს. დადგენილი ცერ 250 მისხლიანი სულზე, 27 იანვარს შეამკირეს 225 მისხლამდე. მკირე წლოვანთათვის უზრუნველ ჰყვეს ნახევარი ხვედრისა, ხოლო მუშებისთვის, რომლებიც წელზე ნაკლებისა-

ნი არიან,—პურის ძისალებ ბილეთსაც არ იძლეოდნენ.

ოფიციალური ზეაროებრიდან ირწმუნებიან, რომ ეს ახალი შემკირება ხვედრისა გამოწვეულია არა იმისგან რომ პურის სიმკირე იყოს და მაშასადამე შიმშილის შიში, არამედ იმიტომ—რომ შემოინახონ ნეტი ფქვილი და ხორბალი ახალ მოსავლამდის, და უზრუნველ ჰყონ მცხოვრებლები უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში პურით. სჩანს გერმანიის ამ ცნობის თანახმად დამშევაზე ლაპარაკი ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

★ **ვინ დარჩენ საფრანგეთში?** თანამედროვე ომმა ყველა დიდი სახელმწიფოში ჩაითრია. მათში ყველაზე ძლიერ უყვართ საფრანგეთი. მის ბედის გაგება სწყურდათ, ყველანი კითხულობენ. აი, სხვათაშორის შინ დარჩენილთა შესახებ როგორი სტატისტიკური ცნობები შეადგინეს: საფრანგეთის მცხოვრებთა საზოგადო რიცხვი უდრის 70 მილიონს. ნახევარზე მეტს ქალები შეადგენენ. აქედან თუ გამოერიცხავთ ბებრებსა და ავადმყოფებს, მივიღებთ 13 მილიონ ქალს, რომელნიც მომავალთა ტვირთს კისრულობენ. ხანში შესული ხალხი 55—75 წლამდე უდრიან 4 მილიონს აქედან უკანასკნელი სამ მილიონს შეუძლიან მუშაობა. და ბოლოს, ყმაწვილები 15—18 წლ. შეადგენენ 1.600 ათასს. ნახევარზე მეტი აქედან სამუშაოდ არის გასული. მიშასადაივ, 18 მილიონი ქალი, მოხუცი და ბავშვი უზრუნველსა ჰყოფს მთელ საფრანგეთის არმიის კეთილდღეობას.

★ ინგლისური გაზეთი „Times“-ი სწერს: ვიდრე ჩვენ ძალთა საზოგადო და ადგილობრივი უპირატესობა არ გვექნება, ტყუილად ვიმედობთ, რომ ჩვენმა სარდლებმა გაიმარჯვონ. გერმანელთა მიერ გამაგრებული პოზიციები მოითხოვონ გაცილებით მეტ ძალას, ვიდრე ჩვენ გვაქვს. ერთზე ორი და სამი არ მოვალთ, ძნელია გამარჯვება. გერმანელთა შეიარაღებულ ძალა უდრის ეხლა ათ მილიონს. გერმანელთა დანაკლისი არ ადგამატება მილიონ ნახევარს, თუმცა ფრონტები სამ მილიონამდე ანგარიშობენ. ყოველივე შემთხვევაში გამარჯვებაზე ფიქრი ჯერ კიდევ შორას.

★ „რუსკ. სლ.“ მიმოხილველი ბაიანიც ასევე განიხილავს დღევანდელ ომის სირთულეს: საოცარიია, გერმანია სად იტევდა ამოდენა ძალას, მაგრამ ამაზე უფრო საოცრება ას არის, რომ ჩვენ შეუძინველი დაგვრჩა ჰინდელბურგი, კრუპი, ოსტვალდი და სხვებიო. თუ იაპონიაზე ვკვირვობდით,

ეს მართლა არც ისე გასაოცარია, სიშორე ჩვენს შორის დაახლოვების ფარდას გვიხშობდა, მაგრამ ეს რომ ჩვენ წინ იყო და იზრდებოდა, ხოლო ამ ზრდას ვერ უნიშნავდით, აი ეს არის ჩვენთვის არა საპატიველი. მისი სრდა ბუნებრივია, მისი მოთხოვნილებანი უნდა გაფართოვდეს. გერმანელთა ბედზე თვით გერმანელებივე ვაღიხარხარებდნენ, რომ მათ სამშობლოს კედელი შემოვავლოთ, ხოლო თვით ისინი გამოკრეკოთ და უცხოეთში გაუყოთ თავი. არა, გერმანიის სხეული მოითხუეს სიფართოვებს და მის ხელში ჩაგდებასთან ერთად დამოკიდებულია მისი სიკვდილ-სიცოცხლე.

აკაკის ნაკვესები

(ტატონაიი გქ. ივ. სპ. ელიაშვილისგან)

ერთხელ აკაკი მრავლად თავმოყრილ საზოგადოებაში მოჰხვდა. უეცრივ სიჩუმის ანგელოსმა ჩამოიარა. გაუკვირდათ, რომ აკაკი ჩვეულებრივ ოხუნჯობის ნაპერწყლებს არ აკვეებდა.

— რა ამბავია? — შეეკითხნენ აქეთ-იქით.

— არაფერი.

— შენი ენა-მახვილობა და ასე გაჩუმება?

— რაღა შეთქმის. ჩემი ნაღველი ის არის, რომ სიკვდილ შემდგომ ვინ იცის, ვის სამძიმელი არ გაუხდები. მგოსანთა ბედი ხომ ასეთი სასტიკი და დაუნდობელია, არ ხარ დაზღვეული არაფრისგან: მოკვდები, მიწას ახოფაფარებენ და მიგივიწყებენ. ცოცხალი ხარ და შენს მგოსნობას თვითყული გროშად არ იყადის.

— .!?

— გიკვირთ? აბა მომიმინეთ: როდესაც მამია გურიელი დიდი ამბით დავასაფლავეთ, რა თქმა უნდა, მეორე დღეს დავივიწყეთ, როგორც სხვები. მაგრამ არ დაჰვიწყებიათ მის ძმებს ჯაბას და ვახტანგს. ერთხელ, ოზურგეთიდან დაბრუნებისას, მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა.

— ბატონო ჯაბა, რა ამბავია, რომ ჩვენი ძმა მამია ასეთი ამბით დამარბეს?

— ის, ბატონო ვახტანგ, რომ მამია პოეტო იყო.

— მაშ ჩვენც ვიპოეტოთ.

— ვიპოეტოთ... პირველად თქვენ დაიწყეთ.

ვახტანგი: „ოზურგეთით მოდიოდნენ ვახტანგი და მის ძმა ჯაბა...“

აბა ჰა, განაგრძეთ... თქვენი ჯერია.

ამ დროს მათ წინ ერთი გოგო მოდიოდა. ჯაბამ ამაზე მიუყოლა:

ჯაბა: „წინ შემოხვდათ ერთი გოგო ლამაზი და შეთვალ წარბა.“

მაგრამ ვიდრე ვახტანგი მიაცოლებდა შენდებ ტაეებს, მათმა მსახურმა იესიკამ აღარ აცალა:

იესიკა: „ეს საბრალო იესიკა გადმოხტა და მიეძაბა...“

ძმებმა ერთმანეთს შეჰხედეს, ვაღიხარხარეს და უთხრეს:— ეჰა, პოეტობა ისეთი ადვილი ყოფილა, რომ თვით იესიკამ უმჯობესად დაავიროვინა, მაშ რა ნახეს მამიაში.

— აი ჩვენი ბედი! იესიკებიც გვართმევენ გვიროვინს...

შავთვალ.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. დიდი ჯიხაში (ქუთ. მაზრა, ქვემო იმერეთი), ეს სოფელი მდებარეობს დ. ხონის მახლობლად, აქ მცხოვრებთა რიცხვი 1200 ადის, სწავლა განათლებას დიდი ჯიხაში ერთობ კარგი ნიადაგი უჩანს, აქ არსებობს ოთხ-კლასიანი სასწავლებელი, წელს განზრახული იყო სამეურნეო სკოლის დაარსება, მაგრამ ომმა ხელი შეუშალა... როგორც სხვა იმერეთის სოფლებს, სოფელ დიდი-ჯიხაშიც კარს ადგია მკაცრი „შიმშილი“ ხალხს უკვე თებერვლის პირველ რიცხვებში, აღარ ჰქონდათ სიმინდი... ბევრს ლაპარაკობენ სოფელში მთავრობის მხრით დახმარებაზე, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. ხენა-აევა უკვე იწყება ჩვენსკენ და სატირალი ის არის ვინც სახლში დარჩა მის სათესლე სიმინდიც არ მოეპოვება. საზოგადოთ იმერეთში ძრიელ მისდევენ მებარეშუმეობას. მხოლოდ წელს აბრეშუმის თესლის შოვნაც მეტად გაქირდება. აქ არსებობს ბაზარი, ვაჭრებმა ისარგებლეს ბათუმის დაკეტვით, თავიანთ საქონელს ერთ-სამად აფასებენ ხოლო ხალხიდან კი სულ ნახევარ ფასში მიაქვთ „სად უნდა უნდა წავილოთ გზები შეკრულია... ამბობენ ხოლმე ივინი. გადასახადები ძრიელ ვიწროებს ისედაც შევიწროებულ მცხოვრებთ ზოგიერთა წყალობით შიში აქაც გავრცელდა „ოსმალნი მოვლენო“ იხს-

5 586 / 2
1915

დნენ სოფელნი და მთებისკენ გაქცევას აპირებდნენ. ავადმყოფობა ძრიელ ვრცელდება ამ ბოლო დროს სოფელში, თუმცა ჰყავთ ერთი ექიმი, მაგრამ ის ამოდენა ხალხს რას უშველის?

ი. იმერელი.

ღია წერილი ბ-ნ რევაზ გაბაშვილს

„კახეთი“-ს საზოგადოების (ბაქოს განყოფილების) ყოფილმა მოსამსახურემ თქვენ პატივცემულ ჟურნალში (№ 4, 5 და 7.) მოათავსა დაუსაბუთებელი წერილი. როგორც ასეთისათვის შეიძლება არ მიიმეცია ყურადღება, მაგრამ თქვენ მიერ ხელმოწერილ ჟურნალში მოთავსებული წერილი და მასთან უშენიშნოთ, მაფიქრებინებს, რომ თქვენ საესებით იზიარებთ წერილის შინაარსს. ასეთი ვაზიარება აზრებისა, იმ პირას მიერ, რომელიც წვენ ფრიად სასარგებლო საქმესთან ძალიან ახლო იდგა — აღმაშფოთებელ შთაბეჭდილებას ახდენს და ამიტომ მოგმართავთ შემდეგი შეკითხვით:

1) ეთანხმებით თუ არა თქვენი თანამშრომელის მტკიცებას ვითომ საზოგადოების ბედი განსაჯდეღში იყოს, ამ საზოგადოების ხელმძღვანელთა უტოლინარობით, დაუდევრობით და უყურადღებობით?

2) ეთანხმებით თუ არა თქვენს ავტორს, ვითომ საზოგადოების საანგარიშო დაეთრები სრულიად მოუწესრიგებელი იყოს. „წელიწადში ორჯელ თუ არა, ერთხელ მაინც უმკველად იცვლებოდეს საანგარიშო წიგნები“ და „მარტო ამ წიგნებში აუარებელი ფულები იხარჯებოდეს“ უმიზეზოდ და უშედეგოდ?

3) ეთანხმებით თუ არა, რომ ღვინოს „კახეთი“-სას „დღეს რომ მიირთმევთ ჩინებულია, ხვალ კი **ჯახველის წვენი** (კურსივ ჩემია) სჯობია?“

ბ-ნო რევაზ! დარწმუნებული ვარ თქვენ გულწრფელობაში და გულახდილობაში და ამიტომ ვიმედოვნებ, რომ არ მოინდომებთ ისეთი ღიადი მნიშვნელოვანი საქმე, როგორცაა საზოგადოება „კახეთი“, გახდეს ყველას სათრეველად და ამიტომაც თქვენ თითონ დასდებთ მსჯავრს თქვენსავე ჟურნალში მოთავსებულ წერილებს, როგორც წესია პატიოსან და მიუდგომელ პრესისა.

საზოგ. „კახეთი“-ს გამგეობის თავმჯდომარე **ლევან ვაჩნაძე**.

ბატონო ღვინა!

თქვენს სამივე კითხვაზედ მოკლედ შემეძლო მეპასუხნა: არა, არ ვეთანხმები; მაგრამ მე მინდა ცოტა დაწვრილებით შევაყენო თქვენი და მკითხველის ყურადღებაც იმ წერილების ისტორიაზედ, რომელზედაც აქ არის ბასი. ორი-სამი კვირაა, რაც ფაქტიურად იძულებული ვიყავი საქმეებისა გამო დავშორებოდი რედაქციას, ამიტომ რ. ფავლენი-შვილის წერილის შინაარსს არამც თუ არ ვეთანხმები, არც კი ვიცნობდი ხეირიანად. ამასთან მაქვს პატივი მოვახსენოთ, როგორც „კახეთი“-ს საზოგადოების ყოფილმა მდივანმა, საქმის მცოდნემ და უმთავრესად მოსიყვარულემ, რომ 1) არამცა და არამც განსაცდელის გზაზედ შემდგარად არ მიმაჩნია მისი ბედი; 2) რომ ბუღალტერიის წარმოება უკანასკნელი 2 შ წლისა, რაც მე დაახლოვებით ვეცნობოდი. „კახეთი“-ს საქმეებს — ეკონომიურის და კარგის წესითა ხდება.

3) რომ ღვინის სიკარგე სიავეს ზედმიწევნით არ ვიცნობ, როგორც დეფუსტატორი, მაგრამ ჩემი მდივნობის საჩივრების რაოდენობა ღვინის სიკეთეზედ სრულიად არ მაძღვეს შეძლებას დავეთანხმო ზემო ხსენებულ ავტორის გაზვიადებულ სიტყვებს. ყველა ამ მოსაზრებათა გამო, მე თვითონ შევაწყვეტინე ამ წერილის ბეჭდვა, როცა ვავეცანი შინაარსსა. ამ საკითხებზედ პირადათ მე მაქვს დასაბეჭდი წერილი და უახლოვს ნომერში კიდევაც დაისტამბება.

პატივისცემით რ. გაბაშვილი.



რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი